



## საქართველოს მთავარი პროკურატურა

### კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადება

*წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე*

2015 წელი ქ. თბილისი

## სარჩევი

საკონკურსო განცხადება .....	3 - 5 გვ
ტექნიკური დავალება .....	6 გვ
ხელშეკრულების პროექტი .....	7 - 8 გვ

## საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს მთავარი პროკურატურა აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების (საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის ცენტრალური შესასვლელის ფასადის, პირველი სართულის ცენტრალური ფოიეს და მარცხენა ფლიგელის ინტერიერის, სველი წერტილებისა და ავეჯის დიზაინის პროექტირება/დაგეგმარება) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;
2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, ვ. გორგასლის ქუჩა N24-ში მდებარე საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში ცენტრალური შემოსასვლელის, პირველი სართულის ინტერიერის, სველი წერტილების გადაწყვეტის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შენობის ინტერიერის მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შენობის ცენტრალური შესასვლელის ფასადის, პირველი სართულის ცენტრალური ფოიეს და მარცხენა ფლიგელის ინტერიერის, სველი წერტილებისა და ავეჯის დიზაინის არქიტექტურული კონცეფცია. გამარჯვებულად გამოვლენილმა კონკურსანტმა, რომელთანაც დაიდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, უნდა უზრუნველყოს შენობის ინტერიერის მოწყობისთვის აუცილებელი სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი იმ სახითა და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე განხორციელდეს შენობის ინტერიერის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა მოქმედი წესებისა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად;
4. შენობის ინტერიერი უნდა გადაწყდეს თანამედროვე სტილში, შენობის ინტერიერში გათვალისწინებული უნდა იყოს სადა და ნათელი ფერები. ინტერიერში გამოყენებული ფერების ნაირსახეობა უნდა იყოს შემდგომისდაგვარად მინიმალური;
5. ინტერიერის არქიტექტურული პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: როგორც ყველა საზოგადო, საოფისე, ასევე დამხმარე და ტექნიკური ფართების იატაკის, ჭერის, ტიხრების ნახაზები, განშლები, დეტალები, მასალათა, ავეჯის სპეციფიკაციები (მათ შორის ავეჯის გეგმარება) და ა.შ;
6. საპროექტო მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს;
7. დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;
8. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადებების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

8.1 საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge/>).

მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში
	ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა
	707797130

8.2 საკონკურსო წინადადებების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ✓ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ✓ შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- ✓ კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- ✓ საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

9. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-8 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;
10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, ასევე საკონკურსო წინადადებების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;
11. საკონკურსო წინადადებების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადებების წარდგენიდან გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ან კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით“ მინიჭებამდე, ან კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი შეწყვეტილია“.
12. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
13. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 10 მარტის 10:00 საათიდან 2015 წლის 12 მარტის 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #24;
14. საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2015 წლის 12 მარტის 13:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #24;

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
17. კონსურსში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ჰქონდეს გამოცდილების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები:
  - ✓ ძირითადი სპეციალისტების შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია (CV)
  - ✓ პირის (ორგანიზაცია) მიერ გაწეული ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ ინფორმაცია. (წარმოსადგენია შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები).
18. კონსურსში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს: 2010-2015 წლების განმავლობაში არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება საპროექტო მომსახურების სფეროში (ამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი საპროექტო მომსახურების ანალოგიური);
19. კონსურსში მონაწილეობის მსურველს უნდა ჰქონდეს: 2010-2015 წლების განმავლობაში შესრულებული არანაკლებ 5 სრული საპროექტო მომსახურება, რომელითაგან 3 უნდა იყოს განხორციელებული პროექტი (ამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი საპროექტო მომსახურების ანალოგიური);
20. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს: 2010-2015 წლების განმავლობაში არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება საპროექტო მომსახურების სფეროში, 2010-2015 წლების განმავლობაში შესრულებული არანაკლებ 3 სრული საპროექტო მომსახურება, რომელითაგან 2 უნდა იყოს განხორციელებული პროექტი (ამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი საპროექტო მომსახურების ანალოგიური). იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის პროცესში მიმწოდებელს ექნება სუბკონტრაქტორის შეცვლის სურვილი, სუბკონტრაქტორს უნდა ჰქონდეს: 2010-2015 წლების განმავლობაში არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება საპროექტო მომსახურების სფეროში, 2010-2015 წლების განმავლობაში შესრულებული არანაკლებ 3 სრული საპროექტო მომსახურება, რომელითაგან 2 უნდა იყოს განხორციელებული პროექტი (ამ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი საპროექტო მომსახურების ანალოგიური). მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს შემსყიდველს და მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში განხორციელოს სუბკონტრაქტორის ცვლილება;
21. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებას;
22. აუცილებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიმართოს მიმწოდებელს პროექტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია განხორციელოს პროექტში შემსყიდველის მიერ მითითებული ცვლილებების შეტანა, იმ შემთხვევაში თუ ამ ცვლილებებით სარემონტო სამუშაოების ღირებულება არ აღემატება თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული სარემონტო სამუშაოების ღირებულებას 10%-ზე მეტით. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის აუცილებლობისას, ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას განხორციელებს შემსყიდველი;
23. მიმწოდებელი ვალდებულია არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების ღირებულების ფარგლებში სარემონტო სამუშაოების მსვლელობისას გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა, გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტების საშუალებით.
24. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
  - ✓ კონკურსანტის რეკვიზიტები;
  - ✓ საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს ჩათვლით (შესყიდვის ობიექტის ღირებულება);
  - ✓ ინფორმაცია დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;
  - ✓ გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია - ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვით, ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით: საპროექტო ორგანიზაციის დასახელება, რეკვიზიტები, განმარტებითი ბარათი პროექტის დახასიათებით, ძირითადი ნახაზები- გეგმები, ჭრილები, ფასადები;
  - ✓ სარემონტო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები), 3D ვიზუალიზაცია (რენდერები);
  - ✓ ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების ჯამური ღირებულება;
  - ✓ ინფორმაცია გამოცდილების შესახებ საკონკურსო განცხადების მე-19-22 პუნქტების შესაბამისად;
  - ✓ ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
25. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
26. საკონკურსო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

#	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი
1	კონცეფცია, ესკიზი და დაგეგმარება	0.6
2	საკონკურსო წინადადების ფასი	0.3
3	გამოცდილება	0.1
სულ:		1.0

27. გამარჯვებულად ჩაითვლება ის კონკურსანტი, რომელსაც საკონკურსო კომისიის წევრებისაგან მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა;
28. საპროექტო მომსახურების დასრულება და საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში
29. მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა 3 ეგზემპლარად, როგორც A3 ფორმატის ნახედი მასალა, ისე ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად.
30. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს.
31. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმდება მიმწოდებლის მიერ საბოლოო საპროექტო დოკუმენტაციისა და მასზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ექსპერტიზის დასკვის საფუძველზე (ექსპერტიზის ხარჯებს ანაზღაურებს შემსყიდველი).
32. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
33. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
34. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: გიორგი კაკაურიძე, ტელ: (+995 32) 2 40 51 21; დავით ხმალაძე ტელ: (+995 32) 240 51 14; ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24.

## ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #24-ში მდებარე საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების (ცენტრალური შესასვლელის ფასადის, პირველი სართულის ცენტრალური ფოიეს და მარცხენა ფლიგელის ინტერიერის, სველი წერტილებისა და ავეჯის დიზაინის პროექტირება/დაგეგმარება)

საერთო ფართი შეადგენს 470 კვ.მ.

შენიშვნა: მოცემული კვადრატული მეტრები არის სარეკომენდაციო და დაზუსტდება გამარჯვებულ კონკურსანთან პროექტის დამუშავების პროცესში

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები, დღგ-ს ჩათვლით. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო-სარემონტო ნორმებით და სტანდარტებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

შენობის ინტერიერის მოწყობის საბოლოო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა იმდაგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ სამუშაოების განხორციელების ღირებულება არ აღემატებოდეს 250 000 ლარს.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს დოკუმენტები, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ✓ განმარტებითი ბარათი;
- ✓ შესაბამისი ორგანოებიდან საჭირო ტექპირობები და ნებართვები;
- ✓ ტერიტორიის აზომვითი ნახაზი;
- ✓ მთლიანი ინტერიერის მუშა ნახაზები და 3D ვიზუალიზაცია რეალური ფერებითა და მასალებით;
- ✓ გეგმები, ფასადები და ჭრილები, დეტალები, კვანძები, ვიზუალიზაცია, კედლის განშლები;
- ✓ ავეჯის გაბარიტული ზომები და სამუშაო ნახაზები;
- ✓ შიდა წყალმომარაგება-კანალიზაცია, სანტექნიკური კვანძების მოწყობა და მუშა ნახაზები;
- ✓ გათბობა/კონდიციონერება/ვენტილაციის მოწყობა და მუშა ნახაზები;
- ✓ ელექტრო და სუსტი დენების დაქსელვის გეგმა;
  - კომპიუტერული და სატელევიზიო ქსელები;
  - სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
  - ვიდეო-სათვალთვალო სისტემა;
- ✓ მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაციები;
- ✓ იატაკების მოპირკეთების სქემა;
- ✓ ჭერის სქემა ელექტროობის წერტილების მითითებით;
- ✓ შენობის ინტერიერის მოწყობის პროექტის დეტალური ხარჯთაღრიცხვა;
- ✓ მოქმედი სამშენებლო-სარემონტო წესებითა და გავრცელებული პრაქტიკით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია;
- ✓ ხარჯთაღრიცხვა.

## სხვა დამატებითი მოთხოვნები

1. პროექტი უნდა იქნეს შემუშავებული ისე, რომ სარემონტო სამუშაოები განხორციელდეს მაქსიმალურად ეკოლოგიურად სუფთა მასალებით, ასევე, მოწყობილობები და დანადგარები შერჩეულ უნდა იქნეს ისე, რომ მწარმოებლისგან ჰქონდეთ 2 წლიანი ექსპლუატაციის გარანტია.

4. კონკურსის შედეგების შეჯამებისას ყურადღება მიექცევა მისი შემდგომი ექსპლუატაციის ღირებულებას (გათბობა გაგრილების, მოვლისა და დასუფთავების ხარჯებს).

## ხელშეკრულებისპროექტი

ქ. თბილისი

— 2015 წელი

ერთის მხრივ საქართველოს მთავარი პროკურატურა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ----- სახით და მეორეს მხრივ, —  
----- (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო  
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადმინისტრაციული შენობაში ცენტრალური შემოსასვლელისა და ვესტიბიულის/ატრიუმის  
ინტერიერის არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინისა და ასევე, ავეჯის  
დიზაინის) სახელმწიფო შესყიდვა. (CPV-----)

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- 3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო  
დღის განმავლობაში.
- 3.4 დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

### 4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა უფლებამოსილ პირს წარმოადგენს -----.
- 4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის  
გაფორმების შემდეგ.

### 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #24.
- 5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2015 წლის -----.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და  
ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით  
გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით  
გათვალისწინებულ ვადებში.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს -----.
- 7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი  
მომსახურების ხარისხის კონტროლს.
- 7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს  
საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ  
ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
- 8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის --- — და მოქმედებს 2015 წლის ——— ჩათვლით.

## 12. რეკვიზიტები